პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ თებერვალი, 2025 წ.

„ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა'' ფარგლებში ფესტივალების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №-15.15222001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა'' ფარგლებში ფესტივალების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №-15.15222001 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქვეპროგრამის „ფესტივალების მხარდაჭერა" ფარგლებში ფესტივალების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე"

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ქვეპროგრამის „ფესტივალების მხარდაჭერა'' ფარგლებში ფესტივალების დაფინანსების წესი, თანახმად დანართისა."

გ) განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართული რეადაქციით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილების ქ. N30) მისი კანომდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძე

დნართი

ქვეპროგრამის „ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში
ფესტივალების დაფინანსების
წ ე ს ი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს, ქვეპროგრამის „ფესტივალების მხარდაჭერა“ (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში, საერთაშორისო/ადგილობრივი ფესტივალების შერჩევის, ხელშეკრულების გაფორმებისა და დაფინანსებასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს.

2. ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურის სფეროში, თანადაფინანსების ფორმატში, იურიდიული პირის მიერ წარდგენილი საფესტივალო ღონისძიებ-ების/პროექტების მხარდაჭერას, კერძოდ:

ა) საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა;

ბ) ადგილობრივი ფესტივალების მხარდაჭერა.

3. ქვეპროგრამის ასიგნებათა საერთო მოცულობა განისაზღვრება - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამის საბიუჯეტო წელს, ბიუჯეტით, ქვეპროგრამის განხორციელე-ბისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 2. ხელშეკრულების გაფორმება

1. კონკურსში გამარჯვებულ იურიდიულ პირსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, ფორმდება ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების დანართი - ხარჯთაღრიცხვა, შესაძლებელია დაზუსტდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების (ღონისძიების) დაწყებამდე - არაუმეტეს, მთლიანი დაფინანსების 10%-ის ფარგლებში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების საფუძველზე.

3. ავანსი გაიცემა საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქვეპროგრამის „ფესტივალების მხარდაჭერა'' ფარგლებში ფესტივალების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №-15.15222001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით ქვეპროგრამის (05 03 04) სახელწოდება და აღწერა შეიცვლა. კერძოდ: ნაცვლად ,,საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერისა'', ქვეპროგრამის სახელწოდება განისაზღვრა ,,ფესტივალების მხარდაჭერა''.

ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბოლო პერიოდში საზოგადოებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხრიდან, გამოიკვეთა განსაკუთრებული ინტერესი ადგილობრივი ქართველი ხელოვანების მონაწილეობით ფესტივალების ჩატარებაზე, შემდგომი გაფართოების, საერთაშორისო სტატუსის მოპოვების თვალსაზრისით.

შესაბამისად აღნიშნული განკარგულების პროექტით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №-15.15222001 განკარგულებაში შედის ცვლილება და დანართი ყალიბდება ახალი რედაქციით.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

განკარგულების პროექტის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) განკარგულების პროექტის მიმართება საქართველოს კონსტიტუციას და მოქმედ კანონმდებლობისადმი:

განკარგულების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

დ) განკარგულების პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

ე) განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი **მერაბ ქიბინიძე**